№ 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1912 წ. ფასი 5 კაპ.

სალხინებელი ალმანახი

ᲨᲝᲚᲢᲘ

ალმანახი გამოვა დრო გამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება „შრომის“ სტამბაში, მუხრანის ქ. 12, ალმანახისათვის.

11 589

გორგიდჟანოვის ბაღი მუშტაიდში.

ზაფხულობით კარგია—
ელექტრონის ბაღები,
ყოველ-ღამე, ქალებთან
ქეიფობენ „აღები“.

ექიმბაშები მირჩევენ—
ლოთობას დაეხსენიო,
თორემ ღვროვოთ გაგგუდავს
უკურნებელი სენიო!..
სიცილათაც კი არ მყოფნის,
ან და რა დასაჯერია!
მე ამან მომკლას? არც ქე სჩანს
ხელში რომ დამიჭერია!..

ლოთი-ფოთი.

Академия наук Грузинской ССР
Библиотека-Музей имени Акад. Н. Гришашвили

გამოსალმება

აწ ვერ გიხილავ,—კუბოს კალთები
ისე მოიმწყვდევს შვაში ჩემს სხეულს,
ვერ მნახავ ისე გაივლის წლები
შენგან ყარიბად გავარდნილს, ეულს.

აჰა რაც გსურდა, იგი აღსრულდა·
აწ განიქარვე მუდმივი დარდი,
მოგშორდა იგი ვინც რომ შენ გძულდა,
მხოლოდ იმიტომ, რომ მას უყვარდი.

გემშვიდობები სამშობლო მთებო,
კალთებს გიკოცნი ცრემლისა ფრქვევით,
მშვიდობით ტოლნო, მშვიდობით ძმებო,
უზომო ტრფობით ყველას გეხვევით.

გემშვიდობები ლაღო მდინარევ,
ტკბილ-მოდუდუნევ, ამო-ხმიანო,
გემშვიდობები სამშობლო კერავ
და შენც მშობელო თვალ-ცრემლიანო

მშვიდობით სატრფოვ, და ისმინე ეს:
მივდივარ, მაგრამ გულს შენ გიტოვებ,
დაშორებული, შენს ტურფა სახეს
სიმშვიდეს ვფიცავ ვერსად ვერ ვპოვებ.

ოჰ...არის მხოლოდ ერთი საშველი:
კუბო—ლენო, სამარე—ცივი
და იმ ნეტარ-წამს, როს მოვკვდე ველი
მის მოლოდინში ცრემლებად ვცვივი.

გ. ნ.

ქალაქის სცენა.

ხტეფანე—სომეხი ხაზეინი და **სიკო**—ნოქარი.

(მოქმედება დუქნის წინ 1908 წ.)

სტეფანე. (გაივლის და გამოივლის გაჯავრებული, ხელში კრიალოსანი უჭირავს. სიკო გაკვირვებული ყურებს).

სიკო. ჰაა საზეინ! რა ამბავია?!

სტეფ. ვა, რა ამბავია რომელია? ერთი გაიგე და... კაცი ჩულურეთში დავბადებულვარ, იქ შევქნილვარ, იქ გავზდილვარ, იქ დავბერებულვარ, მიყურე რაღა ქაღარა შემერჩა! ემე იქ მიქნია—ჯვარი დამიწერია, ლოკ-შვილით სამსე კაცი ვარ, „ტიფლისკი პაჩოტნი ღრაჟდანინი!“ „გარაკკოი უპრავის ღლანნ!“, „კლუბის ჩლენი!“ „ვაროი გილდი კუპეწი!“, ბაზარში მიღებული კაცი, ჰამაც შუა კაცი და ვაა!...

სიკო. ეგ ხომ ვიცით, რა ხარ! შენ ეს მითხარ, რაზე ჯავრობ?!

სტეფ. რაზე ვჯავრობ რომელია?!. „ლონდონის გასტინცის“ წინ მიგდიოდი. ერთი ენახოთ დამაყვირეს: „რუკი ვერხო“! ვაა, ისეთი შევხტი, როგორც რეზინის ბურთი!

სიკო. (ეცინება) მერე რისა გეშინოდა?

სტეფ. (შემკრთალი) რაო, რაო!! სტრაან მტიკარაე! შე ოხერო, ხუთი-ექვსი თოფიანი და ერთიც კარგათ შექეიფებული აფიცერი, შენ ემე გიქნან, დაგაყენონ და დაგიყვირონ, შენ არ შეგეშინდება!?. მებნება: „ფაშფორთ ესტო!“.

სიკო. რათ შემეშინდება? დოკუმენტსა მთხოვენ, ავიღებ და ვაჩვენებ!

სტეფ. (გულმოსული). შე მუდრეგო, ახარ არ გესმის რას გებნები და! ბაშფორთი, რომ ზედა მქონოდა რა მიშავდა? შინ დამრჩომოდა და.

სიკო. მერე, მერე?

სტეფ. აფიცერი ებნება დვორნიკს: „ვზატ ეო ღჩასტკაო!“ (იოხრებს). ისეთი გავხდი, რომ რა გითხრა! ჩვენი ემეანთ პეტრუზა შორიდან მიყურებდა. შემრცხვა რა შემრცხვა, რომ „კრასნი კალვერის“ ვაშლივით გავწითლდი! ერთბაშათ ჩვენი ივანა გოროდოი დავინახე, გამეხარდა, ვიფიქრე გამაშვებინებს მეთქი! ხელი დაუქნიე მოვიდა. აფიცერს ვებნები: „ბარინჯან! ეტ ჩალავეკ მინე ზნაიტ, სკოლკი რაზ მესტა ოტკი პილი მეთქი!“.—„ზამალჩირ“! —„ტი ზნაიშ ეკოო?“—ჰკითხა გარადოის. —„ნიკაკ ვაში ბლაღაროდნიო!“—ვაა, ისეთი ოფლი დამასხა, როგორც „ლენინკიდან“ ამოღებული მკვდარი! გავჯავრდი ჰამა რას ვიზამდი?... ტი ნი ზნაიშ, მაშ ხტო ზნაიტ? ტი ნი ივაან!? აფიცერს ვებნები: „ბარინჯან! ონ დურაკ, სოვსტ ნეტუ, ეშაკ ვაში ბლაღაროდნი მეთქი!“... კიდევ უნდა მეთქო რამე, ჰამა ერთი სალდათი ისე გაცხარდა, როგორც ყველივრის ბზრიალა! გავჩუმდი. წამიყვანეს პოლიციაში.

სიკო. (აქამდის გულიანათ იცინოდა). მერე?!

სტეფ. მერე რომელია? უჩასტკაში დამინახეს, აბა ხომ იცი რაც იქნებოდა?! მიცნეს რაღა... და გამომიშვეს!

სიკო. მერე რა ძალიანა გწყენია? აფიცერს თავის მოვალეობა შეუსრულებია.

სტეფ. ვაა, აფიცერს, რომ ბევრი ვბლები ჰქონდეს, ჩემი რა ბრალია?

სიკო. ვალი კი არა თავის სამსახური, გესმის?

სტეფ. კარგი ეგ ეგრე. ერთი ოცა ჰკითხოს, თითონ ბაშფორთი ააქვთ?

სიკო. იმათ რა ბაშფორთი უნდათ, მთავრობისაგან
ოფიციალურათ არიან დანიშნულნი.
სტეფ. რა ოფიცრული? თავის ფორმით იყო, არც
ფიცარი და არც ცეცელი!
სიკო. ოფიციალური მეთქი, მთავრობისგან უფლება
მინიჭებული.
სტეფ. (დაფიქრებული). ჰოო, უფულობა კი მუდა-
მა აქვთ!
სიკო. უფულობა კი არა ლირსება. ჩვენ ძალა არა
გვაქვს მაგათთან.
სტეფ. ვაა, რა ლონიერები ყოფილან! ჰამა ერთიც
ეს გითხრა, რომ ეგენი სულ ერთობის ხაღ ხი
გააკეთეს ა ი, თორემ რატომ აქამდის არ იყო
ეგრე?!.. მახლას!..

მ. ლელაშვილი.

ლანჩხუთის ოვაგლაგ „ოოღვაწეს“.

(ბასუხათ)

თქვენო კურთხევავ, ენქეროსანო,
ხორცით მოღვაწეე, სულით ფრთოსანო,
ჩემი წკიპურტი სჩანს რომ გეტკინათ
თქვენ ქენით—მე ვსთქვი—ეს რაა გეწყინათ?!
—სხვის ზაკაზით სწერთ—ამბობთ გაზეთში,
რამე საბუთი გექნებათ ხელში,
თორემ ავ ენებს რომ დავუჯერთ
შენზე ათასი უნდა დავსწეროთ.
სამკითხველოსთვინ ოფლი ვღვარეო
სამი წელია სულ ვეხმარეო!
„მოღვაწეე“,—ერთი რამე გვიჩვენე,
რა იმუშავე, რა ააშენე?
ტყვილათ ატარე გამგის სახელი,
ბოლოს უვარგის ფულზედ გვრეს ხელი.
ვინცა იშრომა ქეც ააშენა,
ვერ შეურიგდი ამას კი შენა!
ხან სთქვი—შენობა აქ არ ივარგებს,
ხან კვიტანცია მოსთხოვე ვამგეს.
ხან დაეძგერე ოსტატს ქუჩაში,
ათასი ხრიკი გიქროდა თავში,
ბოლოს „ტროტვარი“ არ დაანებე,
კიდევ მართლება თავის ინებე!
შენი საქმენი ვინც რომ გაიგოს
ვეუბ არ გამგზავსოს იმ ზარმაც გიგოს,
რომ წამოსკუბდა ჯირკზე მაღლათა
და გაჰკიოდა იქ ხმამაღლათა:
რა ბეჯითიც ვარ ერთიც შემხედო,
წიგნი კი მუხლზე უკუღმა ედო!
შენც შეასკუბდი ბათუმის გაზეთს
და იქ ყვიროდი გიგოსებრ ამბებს,
მაგრამ ყველა გცნობს, რომ დაჯაგლაგდი,
შვებულ წრე ნახე, შენც შიგ ჩაბარგდი.
საქმეს კი უნდა შრომა, კაკუნი
და არ ბოროტათ ენის რაკუნი.

შხ ნკოლა.

ნაპოვნი ბარათი.

(გუძღვნი ზოგიერთ „დამებს“).

ერთის მხრით, შეიძლება დიდ ცოდვას ჩავდი-
ოდე, რომ შემთხვევ თ ნაპოვნ ბარათს ვაშკარავებ,
მაგრამ მეორეს მხრით სრული დარწმუნებული ვარ,
ამ ჩემს დიდ ცოდვას მადლიც თან ახლავს თუმცა
მინდოდა, თავი შემეკავებია და საიდუმლოთ შემე-
ნახა ნაპოვნი ბარათი, მაგრამ ხომ იცით წყეული
მოუთმენლობა ხშირათ ცნობის-მოყვარეობასაც აჭა-
რბებს და ამიტომ მეც ამ სენით შეპყრობილი ვაკ-
ნიერდები და გაცნობებთ ბარათის შინაარსს:

„ჩემო სიცოცხლეევ, ჩემო ყველაფერო შალი-
კო! შენი სახელის გახსენებას ვენაცვალე, რატომ
ერთი აღარ მინახულე ამ კვირაში, აკი მოგწერე
ჩემი ქმარი დროებით რუსეთში წავიდა და შინ არ
არის თქო?! ნუ თუ დავიჯერო, რომ სიცოცხლით
საცსე ახალგაზრდას ამოდენა ხვეწნა-მუდარა გჭირ-
დება ქალისაგან. ნუ თუ დავიჯერო, მწუნობ მე,
რომლის სილამაზით და სიკეკლუცით, მთელი ახალ-
გაზრდობა მყავს მოხიბლულ-მოჯადოებული. გინდ
დაიჯერე გინდ ნუ, ჩემი ყურადღება, შენს მეტს
არვის არ დაუმსახურებია და შენ კი შორიდან
გვერდს მივლი, თითქო უბრალო შორიდან ნაცნო-
ბი ვიყო და მეტი არაფერი. თუ მას გულისხმობ,
რომ ჩემი ქმარი შენი კარგი მეგობარია და გაცხვე-
ნიათ ჩემთან საქმის დაჭერა, ეს სისულელეა თქვენის
მხრით, ისიც მეოცე საუკუნეში. რა დროს მეგობ-
რობა და სირცხვილია ჩემო კარგო, როდესაც,
გარდა წუთიერი ნეტარებისა და სიტკბოებისა არა
არსებობს რა ცხოვრებაში. მას შემდეგ მაინც მე
რომ „სანინი“ წავიკითხე, უკიდურესი „სანინისტკა“
ვარ; თუმცა იმის წაკითხვამ ეც ამ შეხედულობის
ვიყავი, როგორც ცხოვრებაზე, ისე სიყვარულზე.
მეტს არაფერს არა გწერ. ისარგებლე შემთხვევით
და ჩამოდი ხვალ, აუცილებლად და სანამ დრო
გვაქვს დავსტკბეთ... გკოცნი ტუჩებში... თქვენი
ელიკო“.

მეგონა ხსენებული ბარათი დაკარგული იყო
შალიკოს მიღებამდე და ვნატრობდი „შალიკოთ“
გადაქცევას, მაგრამ, მესამე დღეს იმ ქუჩაში, სადაც
ელიკო ცხოვრობდა, ისეთი აურ-ზაური და მითქმა-
მოთქმა იყო, რომ თქვენი მოწონებული. თურმე,
ნუ იტყვით, ის წერილი უკვე მიღებული ჰქონია

შალიკოს და შემდეგ და კარგულა. როცა წერილი მიუღია შალიკოს და გაცნობია მის შინაარსს, დავიწყებია მეგობრობაც და სირცხვილიც და იმავე წამში გაქცეულა, მიუხედავათ იმისა, რომ ელიკო „პაიმანს“ მეორე დღეს უნიშნავდა. მაგრამ დახეთ მის მისვლის უბედურებას, შალიკოს, ელიკოსთან ვალიკო დახვედრია. მოსვლიათ ერთი მეორესთან ჩხუბი და მეორე დღეს ორივე თავპირ-დამტვრეულნი პოლიციის სამართველოში მიყავდენ საქმის გამოსაძიებლათ...

ელიკოს კი დარბაისულათ ეჭირა თავი და თან თავმომწონეთ გაიძახოდა: „მთლა გათახსირდა და წახდა დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა, ქალს მარტო არც ქუჩაში გასვლა შეუძლია იმათი შიშით და არც სახლში დხრჩენა, მით უმეტეს, თუ ქალისთვის ბუნებას სილამაზე მიუცია და სხვაო“.

მეორე კვირაში, ელიკო თავის ქმარს ფარისევლურათ გულში ეკვროდა და თან ეფიცებოდა: „მაშინ მზე დამიბნელდეს, მე რომ შენ ოდესმე გიღალატოვო“.

ქმარსაც სჯეროდა ცოლის სიტყვები და სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა მის პერანკის კალთაზე... ეს რა თქმა უნდა იქნამდე, სანამდე არ გაიგო—ვალიკოს და შალიკოს კავკასიური ჭიდაობა მის სახლში „მის ერთგულ ცოლის“ გამო.

ასკ. პროკოფია.

გოგია და პავლია.

(სცენასებური).

გოგია. მშვიდობა შენსა მნახველსა
შაირიანო პავლია,
ესავას რომ უპანღურეს
მაგი ხომ ჩვენი ბრალია?..

პავლია. რა გავაკეთეთ, ამბობენ
ახალიც თურმე შხამია!
ხუცისა ბედი ნიგოითს
არა აქვს ჩემო ძამია.

გოგია. რომ ტრაბახობდი რა ქენი,
აკანის მასწავლებლებსო,
კორესპონდენტი „ვნახოთი“
კუდამდი ტყავს გააძრობსო?..

პავლია. გაგიწყრა ქაიჯვარაი,
მგონი მაჯობე ამაში,
რა ითქმის, თავმჯდომარეში
მოვსტყუვდი ჩემო ყარდაში.
ორმოც მოწმეში ათს ჰკითხეს
ჯერ ხომ იხრიკეს ამაში
ამათშიც სამმა უჩვენა—
ძროხას ამწყვდევდნენ სკოლაში!
სხვა ორ-სამს კრუხიც ენახა
და თითქმის ყველას ქათმები
თითო ორ-ორმა ბევრი სთქვა
ასეთ ასეთი ამბები,
მარა თითეულ საგანზე
სამ მოწმემ აღარ იკმარა
ამ დროს სად გაჩნდა სად იყო—
ეშმაკი წამოეპარა,
იშვლიჭა, ზედ დაეჯეჯა
კორესპონდენტის სასწორზე
დაკორწიანდა ბაწარი
მე და შენ რომ ვართ ამდონზე.

გოგია. ჰო და მეც მაგას გიჩივი,
წყეული დრო და ჟამია,
შხანკოლა გაიმარჯვებსო
მასაც ტრაბახობ ძამია.

პავლია. იმ მასწავლებელ ქალებთან?
ნიზლევს მოვდივარ მაგაზე
თუ არ იშვლიჭა ეშმაკმა,
არ გაჯანჯრუკდა სასწორზე,

გოგია. მაზედ რას იტყვი—რომ ჩხუბობს
ნესტორაი და ექვთიმე,
აბა რომელი აჯობებს,
ერთი შენ გყავდეს, ერთი მე.

პავლია. მე ნესტორ მყავდეს ფალავნათ
კაცია პურ-ღვინიანი,
ნახავ ავწაპნოთ შენს რაინდს,
ქანქარი სამასიანი.

გოგია. ოლოლე ჩემო პავლიავ,
ექვთიმე რით ნაკლებია?
თუ პურ-ღვინოზედ საქმეა
გაგრეკავთ რავარც თხებია.

პავლია შენ უწინც კი ტრაბახობდი—
ექვთიმე დასძლევს კოწოსო,
მარა ვარლამ და რამინმა
ქე შეგაძვრინათ გორძღოსო.

გოგია. არა ძმავ, იქ თავმჯდომარემ
ხათრით დახარა სასწორი,

ეხლანდელ მსაჯულთ მე ვიცნობ
ყველა კარგია და სწორი.

პავლია. საქმე ძმავ თავმჯდომარეა,
შოვნა კი გასაჭირია,
ეშმაკი არ გაჯანჯრუკდეს
მასაც ცხრა თვალი სჭირია.

გოგია. რა ვიცი, ღმერთმა დასწყევლოს
კაცი თვარ არის ქვეყნათა
მე გამარჯვება მინდოდეს
ქაჯებს ვერ ვაქცევ ღმერთათა.
ჩვენ ფულზედ მოვწყვეთ ისთევლე
ასი ვარგუნოთ ლანჩხუთლებს
ასი შუხუთს და ასი კი
სამკითხველოზა ჩიბათლებს.

პავლია. კარგი ჩვენ ისე მოვიქცეთ
ორი რომ ჭიდაობდაო,
ერთ-ერთი ხომ წაიქცევა
თათარი ხაზირობდაო.

იგი შენ.

ხალხური ზღაპარი

(მდგდლების გუმაძღრობის შესახებ).

ზოგიერთ ჩვენგანს ვიცი რომ
აკვირვებს ერთობ ძალიან,
რა მიზეზია მღვდლები რომ
გუმაძღრნი არიან.

—

იესო ქრისტემ ერთხელა
ხალხის გამოცდა ინება:
ვინ ცხოვრობს მუდამ წვალებით
და ან ვის მოელხინება.

ზურგს აიკიდა ხურჯინით
მან სამი დიდი პურები,
წინ მღვდელი შეხვდა, ვერ იცნო,
თუმც დააცქვიტა ყურები!
ჰკითხა: ვინა ხარ მამაო?
ან რაა შენი წადილი,
გატყობ ჭკვიანი კაცი ხარ,
წამოგიღია სადილი.
—დიაკვანი ვარ, მამაო
სწავლაც მაქვს მიღებულიო
და ეხლა მინდა რომ გავხდე
მოძღვარი დიდებულიო.
მისთანა მღვდელსა დავეძებ,
რომ ამისრულოს წადილი
ფულებიც მივცე და მასთან,
სახნავ-სათესი ადგილი.
მოძღვარი ეტყვის: მაშ კარგი
რადგან მადა გაქვს მაგისო,
მე წამომყევი შესაფერს
გამოგინახავ ადგილსო.
მერწმუნე ჩემთან წამოსვლა
არ დაგირჩება ფუჭიო,
მაგრამ ჯერ ცოტა დავნაყრდეთ
თორემ მაწუხებს კუჭიო.
იესომ უთხრა: მოძღვარო,
მეც კი მომშივდა პურიო,
მაგრამ ჯერ წყალი არსად ჩანს
რომ გავიგრილოთ გულიო.
პური რომ ყელზე დაგვადგეს
ხომ დავიხრჩობით უწყლოთო,
და ამნაირათ, ცოტა ხანს
შიმშილსა უნდა უძლოთო.
მიდიან მაგრამ რას ნახვენ,
ყველგან დამშრალა წყალია
და ნაკურთხ მამას შიმშილით
გამოელია ძალია.
—მამე ეგ აბგა მამაო,
მე წამოვიღებ პურსაო,
ისე შეხედვით ქემაინც
გადავაყოლებ გულსაო.
იესომ აბგა გადასცა,
არც კი ათხოვა ყურია,
მღვდელი კი უკან ჩამორჩა,
შეჭამა ერთი პურია
და როცა წყალთან მივიდნენ:
იესომ უთხრა მღვდელსაო:
—დავსხდეთ და წავისადილოთ,
მე ამოვიღებ ყველსაო.

დაბა-სოფლებში მოგზაურობა დილიჟანებით.

გახსენი აბგა, მაგაში
პურია სამი ცალიო.
და მადიანათ მივირთვათ—
პური, ყველი და წყალი.

მღვდელმა მიუგო: რას ბრძანებთ?
ამგაში ორი პურია!
დასაჯერებლათ შეფიცა
ღმერთი და ქრისტეს სჯულია.

იესომ უთხრა: მოძღვარო,
მღვდელი ხარ ღვთისგან ნაკურთხი!
ტყუილს რათ ამბობ? ხომ ვიცი
შეჭამე როგორც საკურთხი.

აქ კიდევ ჩვენმა მოძღვარმა
ხელი დაიკრა გულზედა,
რომ დააჯეროს იესო
ქეც დაიგინა რჯულზედა.

ისადილეს და წავიდენ,
მივიდენ სოფელს ერთსაო
მოწყალეობა თავისი
აქ მოულია ღმერთსაო.

გაიხედ-გამოიხედეს
და ნახეს ღია კარები,
შიგ შევიდენ და რას ხედვენ?
არიან მარტოთ ქალები.

ქალებმა უთხრეს: ხელმწიფეს
შვილი ჰყავთ ერთი ავათო,
ჩვენი ქმარები, სულ ყველა
იქ არის სალოცავათო.

დიაკვანმა სთქვა: ეს კარგი
ამბავი მესმა ყურსაო.
წავალ მოვურჩენ, ხელმწიფეც
ბლომათ გვაჩუქებს ფულსაო.

წავიდენ, ნახეს ხელმწიფე,
ულოცეს გამარჯვებაო,
მაგრამ ხელმწიფეს დარდისგან
აგერა სული ძვრებაო.

აქ დიაკვანმა ხელმწიფეს
უთხრა, მოგირჩენ შვილსაო,
მთელ ქვეყანაზე ვერ ნახამ,
ჩემსავით გამოცდილსაო.

თუ მოგირჩინო ხომ კარგი,
ცოტა ფულები მამეო,
თვერ მოგირჩინო, მომკალი
გინდა დღე, გინდა ღამეო.

და ამნაირათ, სულ ყველა
გამოისტუმრა გარშია,
თავისი მღვდელით—მოძღვარით,
მარტონი დარჩენ სახლშია.

ტანზე გახადა ავადმყოფს,
დანა მოლესა კარგათა,
შემდეგ მივიდა და ყმაწვილს
გულზე დაარტყა მაგრათა.

შუაზე გასჭრა ყმაწვილი,
მირეცხ-მორეცხა წელელი,
შემდეგ შეკერა ჭრილობა,
მაღლა ააპყრო ხელები.

ყმაწვილი ზედვე წამოდგა,
განთავისუფლდა სრულებით,
მეფემაც ექიმ—დიაკვანს
ჯიბე გაუმსო ფულებით.

მღვდელი კი ფიქრობს თვის გულში:
რა ღმერთმა მომცა ესაო,
ეს დიაკვანი კი არა,
კიდეც სჯობია მღვდელსაო.

აპერაცია ვისწავლე
სახელდახელო, სწრაფიო,
ეგ არის, ეხლა გაიხსნა
ჩემი ცხოვრების ძაფი.

იარეს, ბევრი იარეს,
გადვიდენ სულ სხვა სოფელი,
ნახეს რომ აქაც ხელმწიფეს
ცრემლი სდის შეუშრობელი,

რადგან პატარა ყმაწვილი
ჰყოლია ძლიერ ავათა..
ეს რომ გაიგო მოძღვარმა
წავიდა სანახავათ.

გულში იფიქრა: რათ მინდა
ეს დიაკვანი ბარგათო,
ოპერაცია ხომ ვიცი,
შესწავლილი მაქვს კარგათო.

პატარა ბავშვი რომ გავსჭრა
მარტოთაც კი ვეყოფიო,
ფულსაც საკუთრათ ავიღებ,
არ მიყვარს გასაყოფიო.

წავიდა უთხრა ხელმწიფეს,
მოგირჩენ, ფული მამაეო,
თვერ მოგირჩინო,—მომკალი
გინდა დღე, გინდა ღამეო.

და ამნაირათ სულყველა
გამოისტუმრა კარშია,
თავისი ჯაყვა დანითა
მარტოკა დარჩა სახლშია.

შუაზე გასჭრა ყმაწვილი,
მირეცხ-მორეცხა წელები.
ოპერაცია გათავდა,
მაღლა აღაპყრო ხელები.

მაგრამ მორჩენის მაგივრათ
აკი მოუკლა ყმაწვილი!
და ამნაირათ მიიღო
მორჩენის მთელი ნაწილი.

აქ კი ხელმწიფემ მოძღვარსა,
ხელი გაუკრა მაგრათა,
შემდეგ გადასცა კარის კაცს,
რომელმაც მისცხო კარგათა.

უნდა დახრჩონ საწყალი,
აბა ვინა ჰყავთ პატრონი,
რომელი იხსნის თუ იცით
პეტრიელა თუ ანტონი.

აქ დიაკვანი გამოჩნდა,
ვითომდა არაფერია,
ხედავს მოძღვარსა შიშითა
მთლათ დაკარგვია ფერია.

უთხრა: რა ქენი, მამაო!
ამდენხანს სად იყავიო,
რა მიზეზია—ბაწარში
რომ გაგიყვია თავიო.
შენ რომ სიხარაემ დაგძლია
იმას არ უნდა ფიციო,
კარგი საქმე რომ არ გელის
ზედვე გეტყობა, ვიციო,
მაგრამ ერთისა ამბავის
შენგან გაგება მწყურიხო,
შენც უნდა მითხრა მართალი
იგი მესამე პურისო.
თუ შენ შეჭამე მითხარი,
მალე დაგიხსნი შენაო,
ფულსაც ავიღებ, გაგიყოფ,
ერთათ წავიდეთ ჩვენაო.
მაგრამ აქაც კი მოძღვარმა
ისევ დაიწყო ფიციო,
იესო ქრისტეს ვფიცავარ
მე მისი არა ვიციო.
—ნება შენია, მაგრამ კი
სიმართლე გეთქვა სჯობდაო,
ფულსაც მოგცემდი შენს წილს და
არც ვინმე დაგახრჩობდაო...
დაჰკიდეს სახრჩობელაზე,
იხრჩობა მღვდელი საწყალი
და რომ იქიდან გამოძვრეს
არც ღონე შესწევს არც ძალი.
თავზე დაადგა იესო, უთხრა:
მითხარი მართალი,
ხომ არ შეჭამე იმ პურის
შენ მაინც ერთი ნათალი?
ტყუილს ბევრს ამბობ, მართალი
ჯერეთ არ გითქვამს შენაო
და მე რომ მღვდლობა მასწავლო,
სწორეთ რომ არა მჯერაო!
მღვდელმა შეხედა: რას მასხრობ,
თავზე გახურავს ქუდიო,
რატომ არ გჯერა, არა ვარ
მე შენი პურის ქურდიო.
იესომ უთხრა: არ მომწონს
მე შენი საქციელიო,
მაგდენ ტყუილს კი ვერ იტყვის
ვერც სოფლის მარჩიელიელიო.
და მეფეს უთხრა: გაუშვით
მაგი საწყალი მღვდვლიო,
თუ არ მოგრჩენ იმ ბავშვსა
მეც გამომქერი. ყელიო.

წაჰყვა ხელმწიფეს იესო
და მოურჩინა ყმაწვილი,
ფულებიც ბევრი აჩუქეს,
თანაც აქამეს სადილი
და წამოვიდნენ ორნივე,
ნასვამი, მხიარულები,
დიაკვანმა სთქვა: მოძღვარო,
მოდი გავიყოთ ფულები,
თორემ აქ ისე ეტყობა,
მგონი მოგვისწრებს ღამეო,
გინდა მე გავყობ, მაგრამ შენ
ერთი პირობა მამეო:
სანამ გაყოფას არ მოვრჩე
არ დასძრა ერთი ენაო,
თომ შევშლი და ისევე
გაგაყოფიებ შენაო.
მღვდელმა მიუგო: მე ამას
წელიწადს მოუნდებიო,
შენ გაყავი, და მე ისე,
უძრავათ გავჩუმდებიო.
ადგა იესო და სამათ
ყოფა დაუსყო ფულებსა,
მღვდელი კი გაოცებული,
აცქვიტ-დაცქვიტავს ყურებსა.
როცა რომ გაყო ფულები,
უთხრა: თუ გწამდეს ღმერთიო,
აირჩიე და წაიღე
რომელიც გინდა ერთიო.
მღვდელმა მიუგო: რა გითხრა
დარდით მისკდება გულიო,
ორი ვიყავით და შენ კი
სამათ გაყავი ფულიო?
იესომ უთხრა: მამაო!
გახსოვს? ლაგკარგეთ პურიო,
მესამე წილსაც მას ვაძლევ,
არ მსურს ვიჭიო შურიო.
ვინც ის შეჭამა, მას ქონდეს
მესამე წილი ფულიო,
რადგანაც ისე ხარბია
ეგებ გაუძღეს გულიო,
აქ სიხარულით მოძღვარსა,
აუთამაშთა ყურიო,
უთხრა: უკან რომ ჩამოვრჩი
მაშინ შევჭამე პურიო.

—

დასწყევლა იესო ქრისტემ:
გაგიწყრეთ მაღლით ზენაო,
გაუმაძღარნი იყავით
დედამიწაზე თქვენაო.

და ამის შემდეგ ვხედავთ, რომ
ჩვენი მოძღვარნი, ძლიერნი,
ხუთგან ისე სჭამს სადილსა,
როგორც ერთი თვის მშიერნი.

ასთე გათავდა არაკი
და სიმართლესთან ნამდვილი,
თქვენს ალმანახში ამ არაკს
გთხოვთ, რომ დაუთმოთ ადგილი.

ვაქცეულიძე.

ჩვენი მოსწავლე ახალ-გაზდობა დიდ საქმეშია გართული.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. 12. გამომცემელი მ. ლელაშვილი